ამბროლაურის რაიონული სასამართლო

ქ.ამბროლაური, კოსტავას №13 ☎: 22 16 76 ფაქსი: (0439) 22 16 74

საქმე N2/289-23 10.07.2024 წელი

ცაგერი მუნიციპალიტეტის მიერიის
წარმომადგენელს ქალბატონ ლეილა გურგუჩიანს

თქვენი ამა წლის 10 ივლისის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, გეგზავნებათ ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება.

დანართი: გადაწყვეტილების ასლი ,,11'' ფურცლად

პატივისცემით,

ქეთევან არჩვაძე
მოსამართლის თანაშემწე:

N 090210023007676790

9816956045806

www.ecd.court.ge

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

13 ივნისი, 2024 წელი ქ. ამბროლაური

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე - როინ კახიძე
სხდომის მდივანი ქეთევან არჩვაძე

მოსარჩელე - შპს ,,ონიქს როუდი"
წარმომადგენელი- გიორგი ლომთაძე, რობიზონ ხურცილავა;

მოპასუხე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია;
წარმომადგენელი - შორენა დვალი, ლეილა გურგუჩიანი;

მოსარჩელე შეგებებულ სარჩელით- ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია;
მოპასუხე შეგებებულ სარჩელით - შპს ,ონიქს როუდი"

დავის საგანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 29 ივნისის ბრძანების ბათილად ცნობა, ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, თანხის დაკისრება;
შეგებებული სარჩელით -თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1.ცაგერის მუნიციპალიტეტსა მერიას და შპს ,ონიქს როუდს" შორის 2022 წლის 18 ოქტომბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის N255 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 29 ივნისის ბრძანების ბათილად ცნობა, ხელშეკრულების 4 თვით გაგრძელების დავალდებულება.
1.2.მოპასუხე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისგან 41595,61 ლარის დაკისრება.

სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2022 წლის 18 ოქტომბერს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ონიქს როუდს" შორის დადებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. ,,ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 848888

ლარით. შესასრულებელი სამუშაოები გახლდათ _ სოფელ ლასურიაში დეხვირის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები. ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. შპს ,,ონიქს როუდის'' მიერ ნაწილობრივ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოხდა სრულად სამუშაოს ათვისება, თუმცა აღნიშნული გამოწვეული იყო დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ უამინდობის გამო. ამდენად მოპასუხე მხარეს არ ქონდა უფლება საურავის სახით ჩამოეჭრა შესრულებული სამუშაოებისათვის შესრულებული თანხა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მე-13 მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობის საფუძვლებს, ის შპს ,,ონიქს როუდზე'' არ უნდა გავრცელებულიყო, ვინაიდან შპს ,,ონიქს როუდის მიერ ადგილი არ ქონია დარღვევას და ეს მომდიონარეობდა კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. კერძოდ: ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ობიექტზე მუშაობა უნდა ეწარმოებინა პროექტის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილი იყო სატენდერო დოკუმენტაციაში. გეოდეზიური სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა საპროექტო ნიშნულები და იგი არ შეესაბამებოდა რეალობას, რაზეც ვაცნობეთ შემსყიდველი ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას, გავაკეთეთ რეალური გეოდეზიური სამუშაოების დოკუმენტი, წარუდგინეთ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას შესათანხმებლად, რომელმაც გადააგზავნა პროექტის ავტორთან და დაეთანხმა ჩვენს ცვლილებას და შეითანხმა. აღნიშნულს დაჭირდა ერთი თვე, ანუ იმ ერთი თვის ვადაში გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების შეუსრულებლობაზე არ უნდა განხორციელებულიყო საურავის დარიცხვა რაც შეადგენდა 5942 ლარსა და 23 თეთრს.
აღნიშნულის პარალელურად ვაწარმოებდი სამუშაოების შესრულებას, თუმცა გზაზე მოწყობილი იყო არსებული სანიაღვრე სისტემა, რომელიც პროექტში და ხარჯთაღრიცხვაში ნაჩვენები საერთოდ არ იყო, ხოლო იმ ლოკაციაზე უნდა შემესრულებინა გრუნტის მოჭრის სამუშაოები და შესაბამისად ბეტონის საფარის მოწყობა, რაც არსებული სანიაღვრე სიტემის გამო შეუძლებელი იყო. აღნიშნულზეც, 2022 წლის დეკემბერში წერილობით მივმართე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას და მოვთხოვეთ ეცნობებინა წერილობით. ვინაიდან სანიაღვრე სისტემის არსებობა აფერხებდა სამუშაოების შესრულებას. აღნიშნულზე პასუხი არ მიუღიათ 2023 წლის მაისამდე. 2023 წლის მაისში პროექტის ავტორის მიერ გამოგზავნილი დამატებით შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და მომთხოვა წარმედგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა. წარვუდგინეთ კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა შესაბამისი საექსპერტო დასკვნით აღნიშნული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულების ფასს არ ცდებოდა. ცაგერის მუნიციპალიტეტიდან დაგვიბრუნდა წერილი ერთი თვის ვადაში, სადაც მუნიციპალიტეტის მერია არ იყო თანხმა აღნიშნული პროექტის შეთანხმების. 2022 წლის დეკემბერში სიტყვიერად აცნობეს, რომ იანვარი, თებერვალი და მარტი კლიმატური პირობების გამო არ ემუშავა და წარმადგენიეს კორექტირებული გეგმა-გრაფიკი, სადაც იანვარში, თებერვალში და მარტში შესასრულებელი სამუშაოები გაანულებიეს. გამოდის, რომ ამ თვიან პროექტზე სამი თვე გაუნულეს და შემდეგ დამატებით ვადა არ გადაუწიეს, შეწყვიტეს ხელშეკრულება და გაავრცელეს საჯარიმო სანქციები რაც უკანონოა და ბათილადს უნდა იქნას ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რომ არ ეძლეოდა სრულყოფილად სამუშაოების ჩატარების უფლება, კომპანიის მიერ შესრულებული იქნა 289 809 ლარის სამუშაოები, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარდგენილი იქნა მოპასუხე მხარესთან და აღნიშნული ღირებულების სამუშაოების მიღების შესახებ პრეტენზია არ გააჩნიათ, თუმცა მოპასუხე მხარემ შესრულებული 289 809 ლარის სამუშაოებიდან აანაზღაურა მხოლოდ ნაწილი და არ გადაიხად 41 595 ლარი და 61 თეთრი რომლის გადახდაც უნდა დაეკისროს მოპასუხე მხარეს.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი/განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი. მისი წარმომადგენელი მიიჩნევს, პირგასამტეხლოს დაკისრება, შემდგომ გაქვითვა და ხელშეკრულების ცალხმხრივად შეწყვეტა განხორციელდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. და არ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლები.

შეგებებული სარჩელი;

3. შპს ,ონიქს როუდის" დაეკისროს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ 57073,92 ლარის გადახდა;

შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ონიქს როუდს" შორის 2022 წლის 18 ოქტომბერს დადებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ No255 ხელშეკრულება, შესყიდვის წარმოადგენდა ცაგერის მუნიციპალიტეტში სოფ.ლასურიაში-დეხვირის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, შემდგომში სამუშაოები).ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 848888 (რვაასორმოცდარვაათას რვაასოთხმოცდარვა) ლარს შესყიდვის ობიექტის ჩაბარების ვადა განისაზღვრა **2023 წლის 23 ივნისი.** შპს „ონიქს როუდმა" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა, რის გამოც შეუწყდა ხელშეკრულება ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 ივნისის N№80.80231809 ბრძანებით. მან დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მოთხოვნები „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას" ასევე ხელშეკრულების 13.1 13.2 და 14-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ა" „ვ" და „ზ" ქვეპუნქტების საფუძველზეც გეგმა გრაფიკის დარღვევისათვის დაეკისრა საჯარიმო სანქციები. ხელშეკრულების 13.1 პუნქტის შესაბამისად (ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 5%) შეადგინა 33305,28 (ოცდაცამეტიათას სამასხუთი ლარი და ოცდარვა თეთრს) ლარს, ხოლო 13.2 პუნქტით (გეგმა-გრაფიკის დარღვევა,ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1) 23768,64 ლარს, სულ საჯარიმო სანქციის თანხა შეადგენს 57073,92 ლარს. შპს-ს შესრულებული აქვს 182782,29 ლარის სამუშაოები რაც შესრულებული სამუშაოების 21%
აღნიშნულ ობიექტზე სამუშაოები თავიდანვე მიმდინარეობდა დარღვევით, წერილობით არა ერთგზის მოხდა შპს-ს დირექტორის გაფრთხილება, რათა დროულად შესრულებულიყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მიუხედავად ამისა მდგომარეობა უცვლელი დარჩა

,შპს ,,ონიქს როუდი'' იმ მიზნით, რომ გაემართლებინა ობიექტზე მიმდინარე სამუშაოების ნელი ტემპი, მერიას მიმართავდა სხვადასხვა უსაფუძვლო წერილებით ასეთი იყო სანიაღვრე არხებთან დაკავშირებული, მერიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და პროექტის ავტორთან შეთანხმებით წერილითვე აცნობა, რომ გზაზე არსებული სანიაღვრე არხები - არ აფერხებდა გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებას და არხების გადატანა ან რაიმე ფორმით შეცვლა მიზანშეწონილი არ იყო. შპს,,ონიქს როუდს " მიეცა მითითება რომ გაეგრძელებინა სამუშაოები არსებული პროექტის ფარგლებში. ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა სამუშაოების დამაბრკოლებელი კლიმატური პირობები და ''ონიქს როუდს'' კანონის ფარგლებში 19 დღით გადაუწია ვადა, მაგრამ უშედეგოდ. სამუშაოები მაინც არ შესრულებულა, ამის გათვალისწინებით და პროექტის გაჭიანურების გამო ცაგერის მუნიციპალიტეტმა გადაწყვეტილება ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება შპს ,,ონიქს როუდისათვის". და ხელშეკრულებას მიენიჭა სტატუსი ,,შეუსრულებელი ხელშეკრულება.

შეგებებული სარჩელით მოპასუხის პოზიცია.

მხარეთა შორის უკანონოდ შეწყდა ხელშეკრულება, შეწყვეტის საფუძველი არ ყოფილა მისი ბრალეულობა. ხელშეკრულების ჩანაწერი პირგასამტეხლოზე ძირითადი ხელშეკრულებიდან დაანგარიშების შესახებ არის უკანონო და ბათილი.

4. უდავო ფაქტობრივი გარემოებები;

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ონიქს როუდს შორის დადებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 848888 ლარით. შესასრულებელი სამუშაოები გახლდათ სოფელ ლასურიაში დეხვირის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

-მხარეთა განმარტებები;

2022 წლის 18 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ No255 ხელშეკრულება,

4.1. შპს ,,ონიქს როუდის'' მიერ ვადის დარღვევით შესრულებული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწნებულ ვადებში ვერ მოხდა სრულად სამუშაოს ათვისება,

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

-მხარეთა განმარტებები;

- 2022 წლის 18 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ No255 ხელშეკრულება;

4.2.1. მხარეთა შორის ძირითადი სადაო ფაქტობრივი გარემოებებია;

- ხელშეკრულების დროულად შეუსრულებლობა უამინდობის მოტივით არის თუ არა საფუძველი, რაც გამორიცხავს შპს ,,ონიქს როუდს'' მიერ ხელშეკრულების ვადის დარღვევის

ბრალეულობას.
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია ქონდა თუ არა უფლება ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების გამო გაექვითა მისაცემი თანხა.
ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, კანონიერია თუ არა 57073,92 ლარის მოთხოვნა.

4.2.2. მხარეებს შორის სხვა გარემოებებიცაა სადაო, მაგრამ დავის გადაწყვეტისათვის ზემოთაღნიშნული გარემოების დადგენა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

4.2.3. სადაო გარემოებასთან დაკავშირებით მხარეები იძლევიან ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებს. მათ მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები გამორიცხავენ ერთმანეთის არგუმენტებს. სასამართლო ორივე მხარის განმარტებას აფასებს თანაბარი მნიშვნელობის მტკიცებულებად. საბოლოოდ გაიზიარებს მხოლოდ იმ მხარის მიერ დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ვინც მტკიცებულებებით დაადასტურებს თავის არგუმენტებს.

4.2.4.სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირობაზე, რომლის მიხედვითაც სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით აღიარებულია შეჯიბრებითობის პრინციპით ფაქტების დადგენა. მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის თანაბრადაა გადანაწილებული, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებები გამოიყენონ ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად. ორივე მხარემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლითაც უტყუარად დადგინდება სარჩელში და შესაგებელში მითითებული გარემოებების უტყუარად არსებობა. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეების ვალდებულებას წარმოადგინონ სარჩელში ან შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების უფრო მყარი და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რითაც სასამართლოს შეუქმნიან თავიანთი პოზიციის დამაჯერებელ შინაგან რწმენას. შესაბამისად, გადაწყვეტილება იქნება იმ შინაარსისა, რა შინაარსის გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას შექმნის მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

გარდა იმისა, რომ მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, რომელი ფაქტობრივი გარემოება, რომელი მტკიცებულებით დაადასტურონ, საქართველოს სსკ-ის 102-ე მუხლმა მხარეები დაავალდებულა თვითონ წარმოადგინონ სარჩელში ან შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამამტკიცებელი მტკიცებულებები. სხვა ფორმით სარჩელში ან შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ დამტკიცდება. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

სასამართლო განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე ფაქტების მტკიცების ტვირთი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის განაწილებული უნდა იყოს იმგვარად, რომ მხარეს, რომელსაც დაეკისრება რომელიმე ფაქტის დამტკიცება, მისთვის ასეთი გარემოების დამტკიცება ობიექტურად შესაძლებელი იყოს. მხარეებს არ უნდა დაეკისროთ იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომლის დამტკიცებაც მათთვის ობიექტურად შეუძლებელია.

4.2.5. სახელშეკრულებო ურთიერთობიდან მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ნაწილდება შემდეგნაირად: მოთხოვნის განმაპირობებელი წინაპირობების მტკიცება, ეკისრება მოსარჩელეს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზარალებული თავს გაართმევს კანონით დაკისრებულ მტკიცების სტანდარტს, ზიანის მიმყენებელს ევალება მოთხოვნის გამომრიცხველი წინაპირობების დადასტურება.

4.2.6.სასამართლო მიიჩნევს, რომ მტკიცების ტვირთის ამდაგვარი გადანაწილება სრულებით შეესაბამება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპს და სამართლიანი განაწილებაა.

4.2.7.მოსარჩლემ, მისი მხრიდან **ხელშეკრულებლის არაჯეროვან შესრულებლობის გასაბათილებლად** მიუთითა, რომ შპს ,,ონიქს როუდის'' მიერ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. მაგრამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოხდა სრულად სამუშაოს ათვისება, თუმცა აღნიშნული გამოწვეული იყო დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ; უამინდობის გამო. ასევე იმის გამო, რომ სანიაღვრე არხთან დაკავშირებით წერილზე დროულად არ გასცეს პასუხი. ამდენად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას არ ქონდა უფლება საურავის სახით ჩამოეჭრა შესრულებული სამუშაოებისათვის შესრულებული თანხა, აღნიშნულზე იძულებით დათანხმდა და ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება.
ასევე შეგებებული სარჩელით მოთხოვნილი თანხა არ უნდა დაეკისროს, რადგან მხარეთა შორის უკანონოდ შეწყდა ხელშეკრულება, შეწყვეტის საფუძველი არ ყოფილა მისი ბრალეულობა. ხელშეკრულების ჩანაწერი პირგასამტეხლოზე ძირითადი ხელშეკრულებიდან დაანგარიშების შესახებ არის უკანონო და ბათილი.

4.2.8.ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა ზემოთაღნიშნული მტკიცების ტვირთის დაძლევის მიზნით განმარტა, რომ პირგასამტეხლოს დაკისრება და შემდგომ გაქვითვა და ხელშეკრულების ცალხმხრივად შეწყვეტა, განხორციელდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. რაც შეეხება სანიაღვრე არხს, მდებარეობს წზის პირას და ხელს არ უშლიდა ხელშეკრულების შესრულებას. შესაბამისად, არ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლები. რაც შეეხება შეგებებული სართელით თანხის გაკისრების მოთხოვნა ეფუძნება მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

5. სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება;

5.1. სასამართლოს მიაჩნია რომ ზოგადად ,,უამინდობა'' არ შეიძლება ჩაითვალოს ფორს-მაჟორულ გარემოებად, მიუხედავად იმისა რომ ამინდის ცვალებადობა მხარეთა შესაძლებლობას

აღემატება, შესაძლებელია მისი წინასწარ განსაზღვრა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
-2022 წლის 18 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ No255 ხელშეკრულება;
-მხარეთა ახსნა განმარტება.

5.2.სასამართლოს მიაჩნია, რომ თანხების 35653,38 და 5912,23 ლარის ურთიერთ გაქვითვა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და არ დასტურდება იძულების ფაქტი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
-2022 წლის 18 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ No255 ხელშეკრულება;
-მხარეთა ახსნა განმარტება.
-შეთანხმების აქტი N 255-5 და N255-2

5.3.ცაგერის მუნიციპალიტეტსა და შპს ,ონიქს როუდს" შორის 2022 წლის 18 ოქტომბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის N255 ხელშეკრულების შეწყვეტა და ხელშეკრულების ჩანაწერი პირგასამტეხლოზე ძირითადი ხელშეკრულებიდან დაანგარიშების შესახებ არის კანონიერი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
-2022 წლის 18 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ No255 ხელშეკრულება;
-მხარეთა ახსნა განმარტება.

5.4.გზის გასწვრივ სანიაღვრე არხი ხელს არ უშლიდა სამუშაოების შესრულებას, მითუმეტეს არხის სიგრძე 80 მეტრია, კომპანიას სხვა მონაკვეთზეც არ შეუსრულებია სამუშაოები. რაც შეეხება წერილზე პასუხის დროულად გაუცემლობა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
-2022 წლის 18 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ No255 ხელშეკრულება;
-მხარეთა ახსნა განმარტება.

სამოტივაციო ნაწილი:

6. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა;

ვინაიდან მოსარჩელე **შპს ,,ონიქს როუდმა"** სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაამტკიცა იძულების, ასევე არ იქნა გაზიარებული უამინდობა როგორც ფორს-მაჟორი, ასევე ხელშეკრულების ჩანაწერი პირგასამტეხლოზე ძირითადი ხელშეკრულებიდან დაანგარიშების შესახებ არის კანონიერი, მისი სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. რაც შეეხება

შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

7. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
-საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1.სასამართლო განმარტავს რომ სასარჩელო მოთხოვნა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან, კერძოდ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობს.

8.2. მოსარჩლის მოსაზრება იმის შესახებ, ხელსეკრულების შეუსრულებლობა გამოწვეულია უამინდობით, ასევე თანხების ურთიერთ გაქვითვა განხორციელდა იძულებით, სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული, რადგან სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ზოგადად უამინდობა არ შეიძლება ჩაითვალოს ფორს-მაჟორულ გარემოებად, მიუხედავად იმისა რომ ამინდის ცვალებადობა მხარეთა შესაძლებლობას აღემატება, შესაძლებელია მისი წინასწარ განსაზღვრა. ასევე ფორს-მაჟორული გარემოებები გაწერილია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 12- პუნქტში, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს. ასევე სასამართლოს მიაჩნია, რომ თანხების 35653,38 და 5912,23 ლარის ურთიერთ გაქვითვა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რადგან სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა.ამავე მუხლის მე-2-ე ნაწილით, ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით. ასევე არ არსებობს მოთხოვნის გაქვითვის დაუშვებლობის (კოდექსის 447-ე მუხლი) რომელიმე პირობა და არ დასტურდება იძულების ფაქტი.

8.3.მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ სანიაღვრე არხი ხელს უშლიდა სამუშაოების წარმოებას და 2022 წლის დეკემბრის თვეში მიწერილ წერილზე პასუხი გასცეს გვიან 2023 წლის მაისის თვეში, რის გამოც აღნიშNული დრო უნდა ჩაეთვალოს საპატიოდ. სასამართლო ვერ გაიზიარებს, რადგან სასამართლო დაადგინა, რომ გზის გასწვრივ სანიაღვრე არხი ხელს არ უშლიდა სამუშაოების შესრულებას, მითუმეტეს არხის სიგრძე 80 მეტრია, კომპანიას სხვა მონაკვეთზეც არ შეუსრულებია სამუშაოები. რაც შეეხება წერილზე პასუხის დროულად გაუცემლობა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზი.

8.4.მოსარჩელის მხრიდან იმაზე მითითება რომ 2022 წლის 18 ოქტომბერს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ონიქს ოილს" შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შეწყდა უკანონოთ, სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული, რადგან სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე

ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. მე-2-ე ნაწილით არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ:

ა. აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;

ბ. ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

გ. განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.

კონკრეტულ შემთხვევაში შპს ,,ონიქს როუდი'' არ ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობას. განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებით დაკისრებული სამუშაოების შესრლების გეგმა-გრაფიკი და დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს

8.5.სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა 57073,92 ლარის დაკისრების ნაწილში, რადგან მოთხოვნა გამომდინარეობს მხარეთა შორის 2022 წლის 18 ოქტომბერს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ონიქს როუდს'' შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან; კერძოდ ,ობიექტის ჩაბარების ვადა განისაზღვრა 2023 წლის 23 ივნისი. შპს ,,ონიქს როუდმა" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა, რის გამოც შეუწყდა ხელშეკრულება ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 ივნისის №80.80231809 ბრძანებით. კომპანიამ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მოთხოვნები ,,ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას" ასევე ხელშეკრულების 13.1 13.2 და 14-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის ,,ა" ,,ვ" და ,,ზ" ქვეპუნქტების საფუძველზეც გეგმა გრაფიკის დარღვევისათვის დაეკისრა საჯარიმო სანქციები. ხელშეკრულების 13.1 პუნქტის შესაბამისად (ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 5%) შეადგინა 33305,28 (ოცდაცამეტიათას სამასხუთი ლარი და ოცდარვა თეთრს) ლარს, ხოლო 13.2 პუნქტით (გეგმა-გრაფიკის დარღვევა,ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1) 23768,64 ლარს, სულ საჯარიმო სანქციის თანხა შეადგენს 57073,92 ლარს. შპს-ს შესრულებული აქვს 182782,29 ლარის სამუშაოები რაც შესრულებული სამუშაოების 21%.

შპს. ,,ონიქს როუდის" მითითება, რომ მხარეთა შორის უკანონოდ შეწყდა ხელშეკრულება და შეწყვეტის საფუძველი არ ყოფილა მისი ბრალეულობა, სასამართლო სხდომაზე არ დასტურდა, რა შეეხება მითითებას რომ ხელშეკრულების ჩანაწერი პირგასამტეხლოზე ძირითადი ხელშეკრულებიდან დაანგარიშების შესახებ არის უკანონო და ბათილი. სასამართლოს მიერ ვერ

იქნება გაზიარებული, ვინაიდან მხარეს სათანადო ეტაპზე კვალიფიციური შესაგებელი აღნიშნულ საკითხზე არ წარუდგენია. მათ შორის სადავოდ არ გაუხდია პირგასამტეხლოს ოდენობა და არ მიუთითა დაანგარიშების უკანონობა რაში გამოიხატებოდა.

ზემოთაღნიშნული გარემოებების გათვალისწინების ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხის დაკისრების მოთხოვნა საფუძვლია და უნდა დაკმაყოფილდეს.

9. საპროცესო ხარჯები:

9.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. (26.12.2014. №3014)

შესაბამისად, შპს ,,ონიქს როუდის'' მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1248.00 ლარი უნდა დარჩეს ბიუჯეტში გადახდილად.
შპს ,,ონიქს როუდს'' სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს (დაკისრებული თანხის 3%) 1712,21 ლარი;
შპს ,,ონიქს როუდის'' სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს შუამდგომლობით-სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის გამო (არ იქნა მიღებული) წინასწარ გადახდილი 3800 ლარი. (საგადასახადო დავალება N40490310. გადახდის დრო 08/04/2024 წ; გამგზავნი - გიორგი ლომთაძე; გამგზავნი ბანკი - სს ,,ლიბერთი ბანკი" მიმღები- ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში; სახაზინო კოდი- 300803150.

10. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები;
სარჩელზე უზრუნველყოფა გამოყენებული არ არის.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 8-ე, 53-ე, 243-244-ე, 248-249-ე, 257-ე მუხლებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს ,ონიქს როუდის" დაზუსტებული სარჩელი ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 29 ივნისის ბრძანების ბათილად ცნობის, ხელშეკრულების ვადის გაგრძელების და თანხის 41595,61 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2.დაკმაყოფილდეს შეგებებული სარჩელი შპს ,ონიქს როუდს" (ს/ნ434067109) დაეკისროს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ 57073,92 ლარის გადახდა;

3.შპს ,,ონიქს როუდის'' მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1248.00 ლარი დარჩეს ბიუჯეტში გადახდილად.

4.შპს ,,ონიქს როუდს'' სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს (დაკისრებული თანხის 3%) 1712,21 ლარი;

5.შპს ,,ონიქს როუდის'' სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს წინასწარ გადახდილი 3800 ლარი. (საგადასახადო დავალება N40490310. გადახდის დრო 08/04/2024 წ; გამგზავნი - გიორგი ლომთაძე; გამგზავნი ბანკი - სს ,,ლიბერთი ბანკი" მიმღები- ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში; სახაზინო კოდი- 300803150.

6.გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

7.გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე ხელმოწერილია როინ კახიძე

ასლი დედანთან სწორია

მ/თანაშემწე ქეთევან არჩვაძე